№523 2016 წლის 28 მარტი ქ. თბილისი

ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გამოყოფილი ასიგნებებისა და საკუთარი სახსრების ფარგლებში, 2016 წელს მიმდინარე პროგრამების/პროექტების შესახებ ვიდეორგოლ(ებ)ის დამზადებას და განთავსებასა და აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში არსებული სარეკლამო ვიდეორგოლის განთავსებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**